

შედარებითი ანალიზი გ.ლეონიძის ლექსსა “ყივჩალის პაემანი” და ხალხურ ლექსს “შემომეყარა ყივჩაყი” მიხედვით

საგანი: კომუნიკაცია ქართულ ენაზე

თემა: ადამიანი და მისი ცხოვრება

ლექტორი: გიული ყულუმბეგაშვილი

სტუდენტი: სოფიო მანთაშაშვილი

ჩვენი საუკუნის პოეტთაგან ცოტას თუ გაუთავისებია და შეუსისხლხორცებია ეროვნული ხალხური პოეზიის მოტივები და სპეცოფიკური პოეტური ნიშან-თვისებები ისე ბუნებრივად და ორგანულად, როგორც გიორგი ლეონიძეს. მის ლექსებში ზოგჯერ გამოკვეთილად ისმის ამა თუ იმ ხალხური პოეტური შედეგის რიტმი და ინტონაცია. პოეტის ზოგიერთი ნაწარმოების თემაც და სათქმელიც აშკარად ენათესავება ამა თუ იმ ხალხურ ლექსს და მის თავისებურ ლიტერატურულ გადამუშავებასა და გაიგივებას წარმოადგენს. ამის კლასიკური მაგალითი გახლავთ გიორგი ლეონიძის “ყივჩალის პაემანი”, ხალხური “შემომეყარა ყივჩაყი” პოეტური ფუძეებიდან აღმოცენებული ლექსი.

ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგრი “შემომეყარა ყივჩაყი” ერთგვარად ასახავს იმ ისტორიულად რეალურ ვითარებას, უფრო მართებულად, ქართველის სტუმართმოყვარეობას და მეორე მხრივ ყივჩალის თავხედობასა და ძალადმცხონეობას.

ბალადაში ტრაგიკული კონფლიქტის ამბავს მოგვითხრობს ქართველი მოყმე, მისი თვალთ არის დანახული კონფლიქტის აღმოცენებაც და დასასრულიც.

ხალხური ლექსის მიხედვით ყივჩაყი გადამთიელია, უცხო, რომელიც მუხანათურად გადაუდგება წინ თავის საქმეზე მშვიდად მიმავალ ცოლ-ქმარს და ქალის სილამაზით მოხიბლული, ქმარს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმება. ყივჩაყი აქ მოძალადეა, რომელიც ჯერ პურს ითხოვს, მერე ღვინოს და სტუმართმოყვარე ოჯახისგან გულუხვად დაპურებულ-დანყურებული მადლობის სანაცვლოდ სხვის ქალს უხეშად და თავხედურად წაეპოტინება.

გ. ლეონიძის “ყივჩალის პაემანი” ხალხურ ლექსს ეყრდნობა და ეპასუხება კიდეც. მან საუკუნეთა ბურუსიდან გამოიხმო და აამეტყველა ქალის გამო გამართულ ორთაბრძოლაში დაცემული გადამთიელი, თან მისი ვაჟკაცური შემართებაც წარმოაჩინა.

გიორგი ლეონიძეს ზედაპირულად არ აინტერესებს ხალხური ლექსის ამბავი, ამიტომაც აღარ მიჰყვება ნაცნობ სიუჟეტს, არ ქმნის ცნობილი ბალადის ახალ ვარიანტს, მას მხოლოდ ყივჩაყი ხიბლავს და თანაც არა საერთოდ, ზოგადად, არამედ კონკრეტული გრძნობის, ამ შემთხვევაში, სიყვარულის გამოვლინებისას.

ლექსის სათაური — “ყივჩალის პაემანი” — უკვე თავისთავად მრავლისმეტყველია. აქვე უკვე ხაზგასმულია, რომ ეს პაემანი ორდინალური კი არ არის, არამედ შეხვედრაა სწორედ ყივჩალთან, რომლისგანაც ყველაფერს უნდა მოელოდე. ამიტომაც სათაურში უკვე განვითარებულია ჯერაც აუხსნელი ისეთი საიდუმლო, რომელიც ეფუძნება გარკვეული ლოგიკით არსებულ პირობითობას, რამაც უნდა აღძრას მკითველის ინტერესი და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად შემზადებული მოულოდნელობის ეფექტით განაცვიფროს იგი.

ლექსი დასაწყისშივე რეალურ სივრცულ განძომილებას არღვევს და ამ თვალსაზრისით ერთგვარ ალოგიკურ ვითარებას ქმნის.

ლექსში ყოვალად თავიდან იწყებს ყველაფერს. მისი ბედი მის ხელთაა. მან იცის, რა ელის, მაგრამ უკან არ იხევს. იგი თავისუფალია, რადგან თავისი ბედის პატრონი თვითონვეა. მისი ხვედრი დიდი ხანია “დანერილია”, უკვე, განსაზღვრულია ხალხური ტექსტის უცნობი ავტორის მიერ, მაგრამ მას არ ეშინია, პირიქით, სიკვდილს თვითვე გამოიხმობს, როგორც კვარცხლბეკს, რომელზე შედგომაც მას სრულყოფილად წარმოაჩენს და უკვდავებას მიანიჭებს.

დაუოკებელ სიყვარულს შეუძრავს ყოვალის მთელი არსება და იგი რუსთაველის ლექსით ეხმიანება ქართველ ქალს (“ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო როცა ზაფხული რუსთაველისა”). სიყვარულს გარკვეული მომენტში ეროვნული ნიშნებიც წაუშლია. სადღაა ყოვალად და სადღაა ქართველი?! პოეტმა ნუთით გააქართველა გამიჯნურებული ყოვალადი და ფუძე შეურყია ბალადაში ჩასახულ ანტაგონიზმს. ყოვალადი რუსთაველის ლექსით უხსნის სიყვარულს თავის სატრფოს. ამგვარი ფაქტის გაზომვა ისტორიული სინამდვილის პრინციპებით, რა თქმა უნდა, არასწორი იქნებოდა, ვინაიდან სარბიელზე გამოდის მაღალი პოეზია და ქმნის ახალ რეალობას.

თავდავინწყებით გამიჯნურებული ყოვალის საბედისწერო ხვედრი იგივე რჩება ლექსშიც; ყოვალის ტრაგიკულმა აღსასრულმა მკითხველს ეგება აღუძრას სიბრალული გულში. ეგებ დაგავინყდეს ტაძრების ლენვაც და ზღვარგადასული სიყვარულის ულოგიკობაც.

პოეტის კალამმა უჩვეულო მეტამორფოზა მოახდინა. კითხულობ გ. ლეონიძის ლექსს და უკვე სულერთია შენთვის, რომ ეს გამიჯნურებული ყოვალადი იმ ყოვალის ორეულია, რომელმაც ჯერ პური მოსთხოვა ქართველ მოყმეს, მერე - ხორცი, მერე - ღვინო და ბოლოს ცოლი. ყველაფერი გაგვინყდება და თანაუგრძობ მის განსაცდელს, კვერს უკრავ მის სინანულს.

ხალხურ ბალადაში ტრაგიკული კონფლიქტის ამბავს მოგვითხრობს ქართველი მოყმე, გიორგი ლეონიძის ლექსში კი მთხრობელის ადგილს იჭერს ყოვალადი, ხოლო ქართველი მოყმე ჩრდილში რჩება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლექსი, უპირველეს ყოვლისა, მომდინარეობს ბალადიდან და ინარჩუნებს მის ნიშნებს. მთავარი განსხვავება ისაა, რომ პოეტს მეორე მხარეც აუმატყველებია. მკვდრეთით აღადგენს მუხრანის საზღვართან დაღუპულ ყოვალს და მისი პირით გადმოგვცემს მომხდარს...

გ. ლეონიძის ლექსის მთავარი გმირი აღარც ქართველი მოყმეა და აღარც მოძალადე ყოვალადი. მთავარ გმირად გვევლინება მძლეთამძლე სიყვარული...

მაშინ როცა ხალხურ ლექსში წინა პლენზე წამოწეულია ეროვნული და მორალური თვისებები, გ. ლეონიძე ამ ხალხურ ლექსში პოულობს სიყვარულის მარცვალს და თავის ლექსში ქმნის პარალელურ რეალობას სადაც სიყვარულის მარადიულობაა მთავარი თემა.

ერთი შეხედვით ეს ორი ლექსი ერთმანეთს ძალიან გავს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით მიხვდებით, რომ ზედაპირული მსგავსების მიუხედავად მათი მთავარი თემები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება, ხალხურ ლექსში ყოვალადი არის მტერი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს უცხო ძალას და რომლის დაძლევით ქართველი გმირი თავის ღირსებას იცავს, მაშინ როცა გიორგი ლეონიძესთან მოძალადის სახე გარდაიქმნება სიყვარულით შეპყრობილ ადამიანად, რომელიც მზადაა სიცოცხლე დათმოს წამიერი გრძნობისთვის.

თუ ხალხურ ბალადაში მთავარია სამართლიანობის აღდგენა, ლეონიძესთან მთავარია გრძნობის უკვდავება.